პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 18

20 14 წ. "29" 08

ქ.თბილისი

სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ფაზისის" ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ფაზისს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 215101716) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (პროფესიული კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600-ით.
2. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ფაზისს" მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №5 სხდომის ოქმის მე-4 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე

დანართი

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ბუღალტერი	III	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ ბუღალტერ-მოანგარიშე	45
2	საბაჟო წარმომადგენელი (სასაქონლო ოპერაციე-ბის სპეციალისტი)	III	საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
3	დურგალი	III	დურგლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
4	ელექტრიკოსი	III	ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
5	შემდუღებელი	III	შემდუღებლის (ელექტრორკალური) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
6	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	III	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის (ინდივიდუალური სამკერვალო ნაწარმის ხელოსანი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
7	სასტუმრო საქმისმწარმოებელი	III	სასტუმრო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
8	ძრავის შემკეთებელი	III	ძრავის შემკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
9	სარესტორნო საქმისმწარმოებელი	III	სარესტორნო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45

10	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)	III	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
11	სტილისტი (ქალი, მამაკაცი)	III	სტილისტ-პარიკმახერის (ქალი, მამაკაცი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
12	საბაჟო დეკლარირების სპეციალისტი	II	საბაჟო დეკლარირების სპეციალისტის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
13	მოლარე (ბანკის და ა.შ)	III	მოლარის (ბანკის და ა.შ) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
14	სამანქანე განყოფილების მეზღვაური	III	სამანქანე განყოფილების მეზღვაურის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60